

ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის  
N3 ბინაზე, მოქალაქე ალექსანდრე გაბრიადისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ალექსანდრე გაბრიადის განცხადება /2012 წლის 12.12 Nგ-10353/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლი N3 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ალექსანდრე გაბრიადეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე /საერთო ფართობი 58,69 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 34,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,59 კვ.მ./ მოქალაქე ალექსანდრე გაბრიადის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ა.ძოწენიძე